შ.პ.ს. “კონსტუდიო”

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, (ს/კ 01.72.14.002.024), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2026

წინა პირობები:

ჩვენს მიერ დასადგენია პროექტის კოსტრუქციული ნაწილის ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო მასალები:

1. შპს "თბილინვესტპროექტი"-ს მიერ 2024 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

2. "DESIGNER IDENTIFICATION BLOC"-ის მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის პროექტის ვექტორული pln ფაილები.

3. "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსების გამოყენებით მოდელირებული შენობების გაანგარიშების ელექტრონული chg ფაილები.

4. შპს "ბლოქსი თავდადებულზე"-ს მიერ შესრულებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი სტადიაში პ (პროექტი) - pdf ფაილები.

საერთო:

მოცემული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შედგება კონსტრუქციულად დამოუკიდებელი ორი მაღლივი 23 სართულიანი ბლოკისაგან, ასევე კონსტრუქციულად დამოუკიდებელი 1-2 სართულიანი მიშენებებით და 2 სართულიანი კომერციული დანიშნულების შენობებით.

სამშენებლო უბნისათვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

მაღლივი შენობებისათვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანი: არგილიტი ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მონაცისფრო-მოლურჯო, ძლიერ გამოფიტული (ფენა №5): სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (ნორმატიული მნიშვნელობა) წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc = 9,3 მპა. საძირკვლებად მიღებულია აღნიშნულ კლდოვან ქანებში დაანკერებული 150 და 120 სმ დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯები, რომლებიც შეკრულია 120 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა-როსტვერკით. შენობები კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კასრკასულ-კავშირებიანი სისტემით, სადაც კავშირების ფუნქციას (ჰორიზონტალური მდგრადობა) ასრულებენ 30 სმ სისქის დიაფრაგმები. დიაფრაგმები ძირითადად განლაგებულნი არიან კიბე-ლიფტების პერიმეტრზე.

კარკასულ-კავშირებიანი სივრცული სისტემის მდგრადობას დიაფრაგმებთან ერთობლივად უზრუნველყოფენ მონოლითური რკინაბეტონის კოჭები განიკვეთით 600X550h, 200 მმ სისქის კედლები და გადახურვების ფილები, სვეტები ცვალებადი განიკვეთით: 600X1000, 600X800, 600X600,

1-2 სართულიანი დამხმარე შენობების დაფუძნება ხდება თიხნაროვან გრუნტებზე (ფენა №2) 25-30 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილებით. შენობები კონსტრუქციულად კარკასული ტიპისაა – მონოლითური რკინაბეტონის სვეტები 400X400, კოჭები 400X550(h), 200 მმ სისქის კედლები და გადახურვების ფილები.

მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B30 და B25. სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია – AIII და AI. მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციით მშენებელი ვალდებულია აღნიშნული (ეროვნული საპროექტო ნორმებით განსაზღვრული) არმატურა ჩაანაცვლოს B500 კლასის არმატურით.

ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემების სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით 8 ბალიან მიწისძვრაზე.
პროექტში გათვალისწინებულია ქვაბულის ლოკალური გამაგრება 90 სმ დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯებით.

ნახაზების სახით წარმოდგენილი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების განიკვეთები და არმირება ასახავს და შეესაბამება საანგარიშო მოდელებში მიღებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის და ზღვრული ძალოვანი ფაქტორების შედეგებს. როგორც გაანგარიშებები, ასევე მხაზველობითი ნაწილი აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნებს.

<u>დასკვნა:</u>

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია გამოყენებისათვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ ედიშერ წოწერია



თბილისი 12-02-2026